ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1535803

ნომერი: AR1256630

თარიღი : 09.10.2014

გაცემის თარიღი : 16.10.2014

გაცნობის თარიღი : 16.10.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის IV მ/რ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ყურაშვილი პ/ნ 01010019492
- საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის II მ/რ, I კვ., კორპ. 3ა

ორგანიზაცია:

- შპს იმედი 95 კოდი: 204856012

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: #01.14.02.009.013, მრავალფუნქციური კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მომზადებას, გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა განიხილოს საკითხი საჭიროა წარმოადგინოთ საპროექტო წინადადების ესკიზური ვარიანტი. აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ საკითხს განიხილავს „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის“ სხდომა.

განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 30 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2014 წლის 09 ოქტომბერს. საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 5 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 25 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.